საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№508 2016 წლის 19 დეკემბერი ქ. თბილისი

დ. ქუმსიშვილისათვის „ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისთვის მიცემული სახელმწიფო კრედიტებით წარმოქმნილი საქართველოს მთავრობის დავალიანების განმეორებითი რესტრუქტურიზაციის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს მიენიჭოს „ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისთვის მიცემული სახელმწიფო კრედიტებით წარმოქმნილი საქართველოს მთავრობის დავალიანების განმეორებითი რესტრუქტურიზაციის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდეს

„ნ. ხადურისთვის „ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისთვის მიცემული სახელმწიფო კრედიტებით წარმოქმნილი საქართველოს მთავრობის დავალიანების განმეორებითი რესტრუქტურიზაციის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 29 სექტემბრის №322 ბრძანება.

გიორგი კვირიკაშვილი